# საინფორმაციო ბროშურა

# პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე

## 1. ზოგადი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შესახებ

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა (შემდგომ - „პოლიტიკა“) მიზნად ისახავს შპს „სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ (შემდგომ - „უნივერსიტეტი“) მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობას. პოლიტიკა საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს, მათ შორის მონაცემთა სუბიექტს ან/და პოტენციურ მონაცემთა სუბიექტს, მარტივ და გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

პერსონალური მონაცემები მუშავდება საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. მონაცემთა სუბიექტის უფლებები დაცულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციის (GDPR) შესაბამისად.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით, კერძოდ, GDPR-ით გათვალისწინებული შემდეგი პრინციპებით:

- სამართლიანობის პრინციპი;
- გამჭვირვალობა;
- მიზნის შეზღუდვის პრინციპი;
- მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი;
- ვადის მინიმიზაციის პრინციპი;
- მონაცემთა სიზუსტის პრინციპი;
- უსაფრთხოების პრინციპი.

პოლიტიკა უზრუნველყოფს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დაცვასა და შესრულებას, რომლის თანახმადაც, მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად.

პოლიტიკა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sabauni.edu.ge და ყველა მონაცემთა სუბიექტს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს მას.

## 2. ზოგადი ინფორმაცია შპს „სეიფთი ქორფის“ საქმიანობის შესახებ

შპს „სეიფთი ქორფი“ იურიდიული საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც უზრუნველყოფს პარტნიორი კომპანიების კანონთან თანხვედრას სხვადასხვა მიმართულებით. მისი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება პერსონალური მონაცემების კუთხით ოფიცრის მომსახურება, კერძოდ, ოფიცრის გამოყოფა, სრული დოკუმენტაციის დანერგვა, საბაუნის საქმიანობის კანონთან თანხვედრაში მოყვანაა.

## 3. ზოგადი ინფორმაცია მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ

შპს „სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“ (მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც საკუთარი ფუნქციების შესრულებისათვის ამუშავებს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, კონტრაქტორებისა და სხვა თანამშრომლების მონაცემებს, მათ შორის არასრულწლოვანის მონაცემებსაც. საკუთარი უფლებამოსილებისა და მოვალეობების სრულფასოვნად შესრულებისათვის ორგანიზაციას ესაჭიროება მონაცემთა სუბიექტების პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. აღნიშნული პროცესი იწყება აბიტურიენტთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის დღიდან და გრძელდება მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე და უნივერსიტეტის მიერ სტუდენტის პირადი საქმის შენახვისთვის განსაზღვრული შესაბამისი ვადით, ასევე, შესაბამისი ხელშეკრულებების ვადით, დასაქმებულების/სხვა ფიზიკური პირების შემთხვევაში. სუბიექტთა შესახებ დამუშავებული მონაცემები მოიცავს სტუდენტების, ლექტორებისა და სხვა დასაქმებულების (სხვა ტიპის ხელშეკრულების მხარეების, მაგ.: მომსახურების ხელშეკრულება) პირად მონაცემებს, ასევე სტუდენტის უნივერსიტეტში სწავლის განმავლობაში მისი შეფასებისა და აქტიურობის შესახებ ინფორმაციებს.

უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების პროცესში უნივერსიტეტი ერთიანი სისტემის ნაწილია, რომელშიც ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების ფორმასა და მიზნებს. ამრიგად, უნივერსიტეტში მონაცემები მუშავდება როგორც ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით, ასევე - ქაღალდურ მატარებლებზეც. პერსონალური მონაცემების დაცვა საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრის ვალდებულებაა, შესაბამისად მონაცემთა დამუშავება მკაფიოდ რეგლამენტირებული პროცესია და უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვას, რისთვისაც მას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი და განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

## 4. ზოგადი ინფორმაცია მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ

უნივერსიტეტს ჰყავს მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც არ არიან მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირები, რადგან პერსონალურ

მონაცემებს ამუშავებენ მხოლოდ უნივერსიტეტის მიზნების განსახორციელებლად - მისთვის ან მისი სახელით. მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები პასუხისმგებლები არიან მხოლოდ იმ მონაცემთა უსაფრთხოებაზე, რასაც ისინი ამუშავებენ და იმ ვადით, რა ვადითაც აღნიშნული მონაცემები მუშავდება.

უნივერსიტეტსა და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის დადებულია ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების დეტალურ მოწესრიგებას, საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს ავალდებულებს იმოქმედონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან სრული შესაბამისობით.

უნივერსიტეტი ახორციელებს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიერ მათი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას ტექნოლოგიურ-ორგანიზაციული ზომებისა და მონაცემების დამუშავების მონიტორინგს.

მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტებისთვის დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

## 5. ზოგადი ინფორმაცია თანადამმუშავებელი პირის შესახებ

შპს ფიტპასს ჯორჯია, შპს სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი“ და სს „ბაზისბანკი“ უზრუნველყოფენ უნივერსიტეტს შესაბამისი მომსახურებით.

კერძოდ:

კომპანია „ფიტპასს ჯორჯია“ უნივერსიტეტს სთავაზობს კორპორაციულ მომსახურებას, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის თანამშრომლებს შეუძლიათ დაკავდნენ 40-ზე მეტი სპორტული აქტივობით, 150-ზე მეტ ობიექტში, ყოველდღიურად, თვეში ერთი სააბონენტო გადასახადით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ასეთ დროს სუბიექტებისგან პერსონალური მონაცემების გადაცემასა და დამუშავებაზე თანხმობის მიღებას მათ მიერ ელექტრონული კითხვარის შევსების მეშვეობით.

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი“ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს შესაბამისი სადაზღვევო მომსახურებით.

სს „ბაზისბანკთან“ უნივერსიტეტი თანამშრომლობს სახელფასო ბარათის შეკვეთის მიზნებისთვის.

შპს ფიტპასს ჯორჯია, შპს სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი“ და სს „ბაზისბანკი“ მონაცემთა თანადამმუშავებელი პირები არიან, ვინაიდან მათ მიერ მონაცემების დამუშავება ემსახურება საკუთარ ორგანიზაციულ მიზნებს და მონაცემთა დამუშავების კონკრეტული საშუალებები განისაზღვრება მათი მითითების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მონაცემთა დამუშავების კონტექსტში, ზემოაღნიშნული კომპანიები გამოდიან როგორც თანადამმუშავებელი პირები, რომლებიც მონაცემებს ამუშავებენ საკუთარი

ორგანიზაციისთვის და საკუთარი სახელით. თანადამმუშავებელ პირებსა და დამუშავებისათვის პასუხისმგებელ პირს (საბაუნი) შორის იდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და მიზნები, დასამუშავებელ მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა დამუშავების ვადა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლებები და ვალდებულებები.

შპს „ფიტპასს ჯორჯია“, შპს სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი“ და სს „ბაზისბანკი“, როგორც თანადამმუშავებელი პირები, პასუხისმგებლები არიან მხოლოდ იმ მონაცემთა უსაფრთხოებაზე, რასაც ისინი ამუშავებენ და იმ ვადით, რა ვადითაც აღნიშნული მონაცემები მუშავდება.

**6. მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული სუბიექტების რეკვიზიტები**

**მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი:**

**შპს** „სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 204426834

**მისამართი:** თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კ. ქუთათელაძის ქ. 3

**ტელეფონის ნომერი:** 2422242

**ელ.ფოსტა:** info@sabauni.edu.ge

**მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი:**

- **ფიზიკური პირი:** გიორგი კიკალიშვილი

**ელ. ფოსტა:** george.kikalishvili@hotmail.com

- **ააიპ საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა“**

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 204931654

**მისამართი:** ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქ., №9

**ელ. ფოსტა:** contact@grena.ge

**ტელეფონი:** 599562869

- **ი/მ ტიგრან ვოსკანიანი**

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 01027070776

**ელ. ფოსტა:** admin@integrals.ge

- **შპს „მაიფონი“**

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 205270473

**მისამართი:** თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N13, სადარბაზო 1, სართული 1

**ელ. ფოსტა:** info@myphone.ge

**ტელეფონი:** +995 (32) 242 17 17

**თანადამმუშავებელი პირი:**

- **შპს** „ფიტპასს ჯორჯია“

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 406271895

**მისამართი:** 0144, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, გარეკახეთის ქ. 6, ბ. 24

**ტელეფონის ნომერი:** +995 32 212 1240

**ელ. ფოსტა:** info@fitpass.ge

- **შპს** სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი“

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 204426674

**მისამართი:** თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ. კოსტავას ქ. 67

**ტელეფონის ნომერი:** +995 32 2505111

- **სს** „ბაზისბანკი“

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 203841833

**მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N1

**ტელეფონის ნომერი**: 032 2922 922

**ელ. ფოსტა:** info@basisbank.ge

**პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:**

**შპს** „სეიფთი ქორფი“

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 427743212

**მისამართი:** ჭავჭავაძის გამზირი, 37მ, აქსის თაუერსი, მე 5-ე სართული (ტერმინალი)

**ტელეფონის ნომერი:** (+995) 592 111 133

**ელ. ფოსტა:** anamaria.bagalishvili@geosafety.ge